

**დადგენილება 34/2020 სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო  
კონსერვატორიაში ბაკალავრიატში მისაღები გამოცდების მოთხოვნებში ერთჯერადი  
ცვლილებების შეტანისა და დამტკიცების შესახებ**

დადგენილება №34/2020

16 ივნისი 2020

**დადგენილება 34/2020 სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო  
კონსერვატორიაში ბაკალავრიატში მისაღები გამოცდების მოთხოვნებში ერთჯერადი  
ცვლილებების შეტანისა და დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, 63-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების პრევენციისათვის, საქართველოს მთავრობის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციების, 2020 წლის 1 ივნისის რექტორის N02-88-R ბრძანებით დამტკიცებული ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს-ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდებისთვის დანართი N22-ის, კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 13 ივნისის N06 სხდომის ოქმის, აკადემიური საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის N21 სხდომის ოქმის საფუძველზე,

**აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ბაკალავრიატში მისაღები გამოცდების მოთხოვნებში ერთჯერადად მოიხსნას მუსიკის თეორიის შემოქმედებითი ტური:
  - ა) საშემსრულებლო ფაკულტეტზე „საშემსრულებლო ხელოვნება“ და „ჯაზის ხელოვნება“;
  - ბ) კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტზე „კომპოზიცია“.

2. შეტანილ იქნას ცვლილება ერთჯერადად სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში **ბაკალავრიატში** მისაღები გამოცდების მოთხოვნებში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
  - ა) კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „მუსიკის თეორია“ მუსიკის თეორიის ნაწილის კომპონენტებში შევიდეს ცვლილება, სოლფეჯიოს ნაწილის სმენითი ანალიზის კომპონენტში მოიხსნას მე-3 და მე-5 პუნქტები (აკორდები, მოდულირებული ნაგებობა);
  - ბ) კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „მუსიკის თეორია“ მუსიკის თეორიის ნაწილში ქართული ფოლკლორის კომპონენტში შევიდეს ცვლილება, საგამოცდო ბილეთში ორი თეორიული საკითხისა და ორი სიმღერის ნაცვლად, შევიდეს ორი თეორიული საკითხი და ერთი სიმღერის მღერა;
  - გ) კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „მუსიკის თეორია“ მუსიკალური ლიტერატურის ნაწილში წერითი კომპონენტის მოდიფიცირება მოხდეს ზეპირ ფორმატად;
  - დ) კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „მუსიკის თეორია“ მუსიკალური ლიტერატურის ნაწილში პროფესიული მუსიკის 10 ნიმუშის ნაცვლად 5 ნიმუშის გამოცნობა;
  - დე) კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „მუსიკის თეორია“ მუსიკალური ლიტერატურის ნაწილში მოიხსნას ფორტეპიანოს კომპონენტი (ფორტეპიანოსადმი კუთვნილი 20 ქულა თანაბრად გადანაწილდეს მუსიკალური ლიტერატურის ორ კომპონენტზე, პროფესიული მუსიკის 5 ნიმუშის გამოცნობა 10 ქულა, ზეპირი გამოცდა მუსიკალურ ლიტერატურაში 10 ქულა).
3. სასწავლო დეპარტამენტს დაევალოს **ბაკალავრიატში** მისაღები გამოცდების მოთხოვნებში ცვლილებების ასახვა.
4. დადგენილება დაეგზავნოს კონსერვატორიის ყველა სტრუქტურულ ერთეულს.
5. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე [www.tsc.edu.ge](http://www.tsc.edu.ge)
6. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
7. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

ნანა შარიქაძე, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

